ევროპული
განათლება
საქართველოში

სტუდენტთა გზამკვლევი

ევროპის უნივერსიტეტი
EUROPEAN UNIVERSITY

ტრანსპორტი

ევროპის უნივერსიტეტის ორივე კორპუსი მეტროსადგურების გვერდით მდებარეობს. ამასთან, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ საზოგადოებრივი ტრანსპორტითაც. მუნიციპალური ტრანსპორტით სარგებლობისთვის აუცილებელია სატრანსპორტო ბარათი, რომლის აღების პროცედურაც მარტივია. ამისთვის საჭიროა სტუდენტმა მიმართოს „საქართველოს ბანკის“ ნებისმიერ ფილიალს და თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ტრანსპორტზე სტუდენტებისთვის მოქმედებს 80%-იანი შეღავათი, შესაბამისად, სტუდენტის სტატუსის მქონე პირებისთვის, ნებისმიერი მუნიციპალური სატრანსპორტო საშუალებით (მეტრო, ავტობუსი, სამარშრუტო ტაქსი) მგზავრობის ღირებულება შეადგენს 20 თეთრს. გთავაზობთ ქალაქის გზამკვლევ აპლიკაციას, რომელიც შეგიძლიათ ჩამოტვირთოთ საკუთარ მობილურებში. იგი გაგიმარტივებთ ქალაქში გადასაადგილებელი ტრანსპორტის მოძიებას. აპლიკაცია შეიცავს ინფორმაციას, აღწერილობებს და ზუსტ მონაცემებს ადგილმდებარეობების შესახებ.

აპლიკაციის ბმული:

https://moovitapp.com/tbilisi-1906/poi/en

Scan to download

მუნიციპალური ტრანსპორტით სააბონიმენტო მგზავრობის ტარიფები:

- 1 ლარი - 90 წუთი ულიმიტო უფასო მგზავრობა;
- 3 ლარი -1 დღიანი ულიმიტო მგზავრობა;
- 20 ლარი -1 კვირიანი ულიმიტო მგზავრობა;
- 40 ლარი -1 თვიანი ულიმიტო მგზავრობა;
- 100 ლარი -3 თვიანი ულიმიტო მგზავრობა;
- 150 ლარი -6 თვიანი ულიმიტო მგზავრობა;
- 250 ლარი -1 წლიანი ულიმიტო მგზავრობა.

ტაქსის მომსახურების საჭიროების შემთხვევაში, შეგიძლიათ მობილურ ტელეფონში ჩამოტვირთოთ აპლიკაცია “ბოლტი“

დაზღვევა

- სადაზღვევო კომპანია „ჯიპიაი ჰოლდინგი“
- სს სადაზღვევო კომპანია „ევროინსი ჯორჯია“
- სს „სადაზღვევო კომპანია იმედი L“
- სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი“
- სს საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „ირაო“
- სს სადაზღვევო კომპანია „ალფა“
- სს სადაზღვევო კომპანია „უნისონი“
- სს „სადაზღვევო კომპანია ქართუ“
- სს საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „კამარა“
- სს სადაზღვევო კომპანია „თიბისი დაზღვევა“
- სს საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი - “IGG”
- სს „ჰუალინგის დაზღვევა“

ადმინისტრაციული/აკადემიური რეგისტრაცია

ადმინისტრაციული რეგისტრაცია გულისხმობს დადგენილ ვადაში სტუდენტის მიერ სემესტრული სწავლის საფასურის გადახდას. იგი აკადემიური რეგისტრაციის გავლის წინაპირობაა.

აკადემიური რეგისტრაცია გულისხმობს სტუდენტის მიერ საგნების არჩევას უნივერსიტეტის სასწავლო ბაზის, eunsis.eun.edu.ge-ს მეშვეობით.

საგნების ასარჩევად სტუდენტს ენიჭება მომხმარებლის სახელი და პაროლი. საჭიროების შემთხვევაში, საუნივერსიტეტო ბაზაში საგნების არჩევასთან დაკავშირებული პროცედურული საკითხების მოგვარების მიზნით, სტუდენტს დასახმარებლად შეუძლია მიმართოს ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერს.

სტატუსის შეჩერება/შეწყვეტა/აღდგენა

სტუდენტის **სტატუსის შეჩერება** გულისხმობს, გარკვეული ვადით სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის არსებული უფლება-მოვალეობისგან დროებით გათავისუფლებას.
სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

- სტუდენტის პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე);
- უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა, გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა;
- ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;
- სტუდენტსა და დაწესებულებას შორის საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფინანსური ვალდებულებების (სწავლის საფასურის გადაუხდელობა) დარღვევა;
- ადმინისტრაციული ან/და აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობა;
- უცხოელი სტუდენტის მიერ ჯანმრთელობისა და უბედური შემთხვევის დაზღვევის არ ფლობა.

სტატუსშეჩერებულ სტუდენტს შეუძლია, სტატუსის შეჩერების გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრის შემდეგ პირადი განცხადების საფუძველზე აღიდგინოს სტატუსი სწავლის დაწყებიდან არაუგვიანეს 6 კვირის ვადაში. თუ სტუდენტს სემესტრის განმავლობაში სტატუსი შეჩერებული ჰქონდა ფინანსური დავალიანების გამო, იგი უფლებამოსილია სტატუსი აღიდგინოს ნებისმიერ დროს. სტატუსის აღდგენა შესაძლებელია სტატუსის შეჩერების შესახებ ბრძანების გამოცემიდან 5 წლის განმავლობაში.

სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა განსხვავდება სტატუსის შეჩერებისგან, ამ დროს სტუდენტი არ არის უფლებამოსილი იმავე უნივერსიტეტში აღიდგინოს სტუდენტის სტატუსი. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ რექტორის ბრძანების გამოცემის შემდეგ წყდება უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულება. სტუდენტის სტატუსის განმეორებით მოპოვება შესაძლებელია მხოლოდ ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების შემთხვევაში. სტატუს შეწყვეტილი სტუდენტი უფლებამოსილია სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანების გამოცემიდან 12 თვის განმავლობაში ისარგებლოს მობილობის უფლებით.

სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს:

- საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება მოცემულ საფეხურზე;
- სტუდენტის პირადი განცხადება;
- სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5-წლიანი ვადის გასვლა, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა;
- სტუდენტის გარდაცვალება ან გარდაცვლილად აღიარება სასამართლოს მიერ;
- სტუდენტის მიერ ისეთი დისციპლინური გადაცდომა, რომლისთვისაც უნივერსიტეტის ეთიკისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის კოდექსით გათვალისწინებულია სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა;
- მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები.

გარე მობილობა/შიდა მობილობა

უნივერსიტეტში **გარე მობილობა** ხორციელდება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ წინასწარ დადგენილ ვადებში, შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრებში. მობილობის უფლების მოსაპოვებლად, სტუდენტი უნდა დარეგისტრირდეს შესაბამის ელექტრონულ პორტალზე.
www.emis.ge

შიდა მობილობა ცხადდება რექტორის ბრძანების საფუძველზე გაზაფხულის და შემოდგომის სემესტრების დასაწყისში.

შიდა და გარე მობილობაში მონაწილეობის უფლება სტუდენტს აქვს იმ შემთხვევაშიც, როდესაც მას შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი.

საქმისწარმოების წესები სტუდენტებისთვის

საქმისწარმოების სამსახური მდებარეობს, როგორც გურამიშვილის, ასევე სარაჯიშვილის კორპუსში შემდეგ ლოკაციაზე: დ.სარაჯიშვილის №17, ოთახი № 103; გურამიშვილის №76, ოთახი №103. სტუდენტს შეუძლია საქმისწარმოების სამსახურს მიმართოს ნებისმიერი განცხადებით, რომელიც უკავშირდება სტუდენტის სტატუსს, ცნობის, თუ სხვა დოკუმენტის მომზადებას და ა.შ. ამასთან, საქმისწარმოების სამსახური უზრუნველყოფს მომზადებული დოკუმენტების გაცემას.

სტუდენტთა ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტმა დანერგა განცხადების წარდგენის ელექტრონული სისტემა, რაც გულისხმობს სტუდენტური ბაზის მეშვეობით შესაბამისი მოთხოვნის დაფიქსირებას. იხილეთ დეტალური ინსტრუქცია:

განცხადების დასაწერად და ცნობის მოთხოვნისთვის სტუდენტურ ბაზაში ჩაშენებულია განცხადებების გვერდი, რომელზე გადასვლაც შეგიძლიათ ნავიგაციის ჩანართიდან.



როდესაც აირჩევთ „განცხადებების“ ველს, პირველ ჯერზე, დაგჭირდებათ იდენტიფიცირება ეფლოუს პროგრამასთან. რისთვისაც აგზავნით ID–ის მოთხოვნას ეფლოუს პროგრამასთან. იხილეთ სურათზე მარცხნივ მიმართული მწვანე ისრით (1) მონიშნული ველი, როდესაც მომხმარებლის ID–ის ველი გამწვანდება, შეგიძლიათ ხელმოწერის ატვირთვაც (ქვემოთ მიმართული, მწვანე ისრით (2) მონიშნული ველი).



ხელმოწერის ფაილი, სურათის სახით, შეგიძლიათ ატვირთოთ თქვენი პირადი ელექტრონული მოწყობილობიდან (კომპიუტერი, პლანშეტი, მობილური ტელეფონი)
მაგალითისთვის იხილეთ სურათი



ხელმოწერის ზომა შეგიძლიათ დაარეგულიროთ



დაიმახსოვრეთ ცვლილება.
მას შემდეგ რაც პარამეტრების გვერდზე ორივე ფანჯარა გამწვანდება, თქვენ საშუალება გეძლევათ გადახვიდეთ მომდევნო ეტაპზე და განცხადებით მიმართოთ უნივერსიტეტს.

ლურჯი ღილაკის საშუალებით დაამატებთ ახალ განცხადებას,



აირჩევთ განცხადების ტიპს ჩამონათვალიდან და დაადასტურებთ თქვენს არჩევანს ლურჯ ღილაკზე დაწკაპუნებით.



დავუშვათ, შეიცვალეთ სახელი ან გვარი და გსურთ განცხადების დაწერა ამასთან დაკავშირებით, განცხადების ტიპში აირჩევთ „პირადი მონაცემების ცვლილებას“ და დაადასტურებთ არჩევანს.



ეკრანზე გამოსულ ფანჯარაში აირჩევთ ადრესატს თავისუფალი ბლანკის შემთხვევაში, (მაგალითად, დეკანს, სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურის უფროსს ან რექტორს), სხვა შემთხვევაში, კონკრეტულ განცხადებას კონკრეტული ადრესატი ჰყავს და ამას თვითონ პროგრამა განსაზღვრავს. აირჩევთ ცნობის წარსადგენ ორგანიზაციას, ენას – რა ენაზეც გსურთ ცნობის წაღება,



დაწერთ ტექსტს და, საჭიროების შემთხვევაში, მიაბამთ ფაილს (მაგალითად, სახელის შეცვლის დოკუმენტის ელექტრონულ ვერსიას)



დასრულების შემდეგ დააწკაპებთ გაგზავნის ღილაკს და თქვენი განცხადება გამოჩნდება გაგზავნილების გვერდზე.



გაგზავნიდან 5 წუთის განმავლობაში, თქვენ შეგიძლიათ განცხადების გაუქმება. თუ არ გადაიფიქრებთ, დადგენილი დროის გასვლის შემდეგ თქვენი განცხადება გადაეგზავნება შესაბამის ადრესატს, რაც იმ წუთშივე აისახება თქვენს გვერდზე, შესაბამისი პიქტოგრამით.



როდესაც განცხადებას განიხილავს შესაბამისი სამსახური და დაადებს რეზოლუციას, თქვენს გვერდზე გამოჩნდება განცხადების სტატუსი „დასრულებულია“ ან უარის შემთხვევაში – „გაუქმებულია“



იმ შემთხვევაში, თუ თქვენ ითხოვთ ცნობას, შეგეძლებათ ცნობის გადმოწერა პირდაპირ თქვენი გვერდიდან;



ხოლო თუ არ გსურთ ელექტრონული ფორმით ცნობის აღება, მობრძანდებით უნივერსიტეტში და ცნობას წაიღებთ მატერიალური ფორმით.

საგამოცდო წესები

უნივერსიტეტში საგამოცდო პროცესის წარმატებით და სამართლიანად განხორციელების მიზნით, ფუნქციონირებს საგამოცდო ცენტრი, რომლის მიზანია, საგამოცდო პროცესთან დაკავშირებით, ერთიანი საგამოცდო სტანდარტების შემუშავება და დანერგვა.
ცენტრი უზრუნველყოფს უნივერსიტეტში შუალედური, დასკვნითი, დამატებითი გამოცდების ორგანიზებას, საგამოცდო პროცესის მონიტორინგს, შეფასებას და გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორებას.
სტუდენტს შეუძლია საგამოცდო ცხრილს წინასწარ გაეცნოს ბაზაში:
Eunsis.eu.edu.ge

საგამოცდო დრო განისაზღვრება სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით.სტუდენტი გამოცდაზე უნდა გამოცხადდეს 15 წუთით ადრე და თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.
სტუდენტი გამოცდაზე დაიშვება 10 წუთის დაგვიანებით და ეს დრო აკლდება საგამოცდო დროს.
სტუდენტს უფლება აქვს, გამოცდაზე შეიტანოს მხოლოდ წინასწარ მითითებული დამხარე მასალა და სასმელი წყალი.
გამოცდაზე არ დაიშვება ე.წ. „შპარგალკა“, ტელეფონი, სმარტ საათი და სხვა.
ჩამოთვლილიდან რომელიმეს აღმოჩენის შემთხვევაში, სტუდენტი იღებს ერთ გაფრთხილებას და მეორე გაფრთხილებაზე სტუდენტი ტოვებს საგამოცდო სივრცეს.
ნაშრომი არ გასწორდება თუ სტუდენტის სახელი და გვარი არ იქნება დაწერილი სპეციალურ გრაფაში და სხვა ფურცლებზე იქნება სტუდენტის ინიციალები ან სხვა სახის ნიშანი.

სტუდენტი უფლებამოსილია, შედეგების გამოქვეყნებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში, მიმართოს საგამოცდო ცენტრს მის მიერ შესრულებული საგამოცდო ნაშრომის გაცნობის მიზნით, ხოლო სასწავლო კურსის განმახორციელებელ ლექტორს საგამოცდო ნაშრომის განხილვის მიზნით.

სტუდენტისთვის ნაშრომის გაცნობას უზრუნველყოფს საგამოცდო ცენტრი. თუ სტუდენტი ჩათვლის, რომ მის მიერ შესრულებული ნაშრომი შეფასებულია არაობიექტურად, უფლება აქვს დაწეროს განცხადება და გაასაჩივროს შეფასება.

ზეპირ გამოცდაზე მიღებული შეფასება უნდა გასაჩივრდეს ერთი სამუშაო დღის ვადაში.

საგამოცდო პროცესთან დაკავშირებით ხშირად დასმულ შეკითხვებს და საგამოცდო პროცესის ადმინისტრირების წესს შეგიძლიათ გაეცნოთ ბმულზე:https://eu.edu.ge/ge/frequently-asked-questions?fbclid=IwAR2Qi5v5wiNyxREJs8-XPX1YyjwjcBDNMUxGQtE1oO2a6WdE-klnViNb1Do

შეფასების სისტემა

სტუდენტს ამა თუ იმ სასწავლო კურსში დადებითი შეფასების მიღების შემდეგ ენიჭება კრედიტი. შეფასება თავის თავში მოიცავს, როგორც შუალედურ შეფასებას (შუალედური გამოცდა/მიმდინარე შეფასება), ასევე დასკვნით გამოცდას. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასებაა 100 ქულა.

უნივერსიტეტში მოქმედებს შემდეგი შეფასების სისტემა:

(A) ფრიადი – 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
(C) კარგი – 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – 51-60 ქულა.
(FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა;
(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები.

სტუდენტს ფინალურ გამოცდაზე გასვლის უფლება ენიჭება შუალედური შეფასებისთვის დადგენილი მინიმალური ზღვრის, 50%-ის გადალახვის შემთხვევაში. დასკვნითი გამოცდისთვის დადგენილია მინიმალური ზღვარი 50%+1 ქულა.
სტუდენტის საბოლოო დადებითი შეფასება განისაზღვრება შუალედური შეფასებისთვის დადგენილი მინიმალური ზღვრის და დასკვნით გამოცდაში დადგენილი მინიმალური ზღვრის:

გადალახვის საფუძველზე მიღებული ქულების დაჯამებით, რომელიც უნდა შეადგენდეს 51 ქულას ან მეტს. FX-ის მიღების შემთხვევაში სტუდენტი უფლებამოსილია გავიდეს დამატებით გამოცდაზე.

სასწავლო პროცესებთან დაკავშირებულ საკითხებზე კითხვების არსებობის შემთხვევაში, სტუდენტებმა, ფაკულტეტების შესაბამისად, უნდა მიმართონ სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერებს:

მედიცინის ფაკულტეტი:

სტომატოლოგია

ია კიწბაბაშვილი, ტელ: 032 2 000 171 (218) E-mail: ia.kitsbabashvili@eu.edu.ge , სარაჯიშვილის N17, ოთახი #403

მარიამ გუგავა, ტელ: 032 2 000 171 (230) E-mail: mariam.gugava@eu.edu.ge , სარაჯიშვილის N17, ოთახი #403

ქეთევან აფციაური, ტელ: 032 2 000 171 (228) E-mail: ketevan.aptsiauri@eu.edu.ge , სარაჯიშვილის N17, ოთახი #403

ქრისტინე სახოკია, ტელ: 032 2 000 171 (204) E-mail: kristinesakhokia@eu.edu.ge, სარაჯიშვილის N17, ოთახი #403

მედიცინა

მარიამ კუპატაძე, ტელ: 032 2 000 171 (229) E-mail: mariam.kupatadze@eu.edu.ge, სარაჯიშვილის N17, ოთახი #403

სალომე წიკლაური, ტელ: 032 2 000 171 (226) E-mail: salome.tsiklauri@eu.edu.ge, სარაჯიშვილის N17, ოთახი #410

სალომე ფოფხაძე, ტელ: 032 2 000 171 (225) E-mail: salome.popkhadze@eu.edu.ge, სარაჯიშვილის N17, ოთახი #410

მირანდა ჩხიტუნიძე, ტელ: 032 2 000 171 (220) E-mail: miranda.chkhitunidze@eu.edu.ge, სარაჯიშვილის N17, ოთახი #410

ხატია დავლიანიძე, ტელ: 032 2 000 171 (236) E-mail: khatia.davlianidze@eu.edu.ge, სარაჯიშვილის N17, ოთახი #410

თამუნა ჩანჩიბაძე, ტელ: 032 2 000 171 (206) E-mail: tamuna.chanchibadze@eu.edu.ge, სარაჯიშვილის N17, ოთახი #410

სამართლის, განათლების, ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტი:

მაკა ქორიძე, ტელ: 032 2 000 171 (110) E-mail: m.koridze@eu.edu.ge ,
გურამიშვილის ქ. #76, ოთახი #101

თამუნა დემურიშვილი, ტელ: 032 2 000 171 (214) E-mail: tamuna.demurishvili@eu.edu.ge,
გურამიშვილის ქ. #76. ოთახო #101

სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტი:

მაკა ქორიძე, ტელ: 032 2 000 171 (110) E-mail: m.koridze@eu.edu.ge ,
გურამიშვილის ქ. #76, ოთახი #101

სტიპენდია

მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტი, რომელსაც ყველა საგანში აქვს შეფასება A მომდევნო სემესტრის განმავლობაში (5 თვის ვადით) მიიღებს სტიპენდიას. სტიპენდიის ოდენობა ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში შეადგენს 125 ლარს, ხოლო ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში 250 ლარს.

სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრი

უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრი, რომელიც სტუდენტებს სთავაზობს მრავალფეროვან სერვისებს და ზრუნავს მათ კარიერულ განვითარებაზე.

სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერა:

ცენტრი ყოველწლიურად აცხადებს სტუდენტური ინიციატივების კონკურსს, რომლის ფარგლებშიც უნივერსიტეტის სტუდენტსა თუ სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფს შეუძლია წარადგინოს სოციალური, კულტურული, შემეცნებითი, ინოვაციური, კვლევითი და ტექნოლოგიური თემატიკის პროექტი. პროექტის მიზანს სტუდენტური ინიციატივების წახალისება და იმპლემენტაციის ხელშეწყობა წარმოადგენს.

უნივერსიტეტის ბენდის და მოცეკვავეების მონაწილეობით ეწყობა Graduation, Welcome, და New Year წვეულებები, იგეგმება ექსკურსიები, სხვადასხვა ეროვნული და თემატური ღონისძიებები, საქველმოქმედო და სოციალური პასუხისმგებლობის პროექტები.

უნივერსიტეტში მოქმედებს შემდეგი სტუდენტური გუნდები და კლუბები:

ფუტსალის გუნდი

პოპ ჯგუფი

ფრენბურთის
გოგონათა
გუნდი

ქორეოგრაფიული
ანსამბლი

კალათბურთის გუნდი

სტუდენტური კლუბები:

- ფსიქმიქსი;
- ლივინგსტონი;
- გარემოს დაცვის კლუბი;
- ინგლისური ენის პრაქტიკული კლუბი;
- ციფრული მარკეტინგის კლუბი;
- ახალი თაობის კვლევითი მეთოდების კლუბი;
- ფოტოგრაფიის კლუბი;
- სპორტული და კულტურული აქტივობების კლუბი;
- VET Eudora – (ვეტერინარ სტუდენტთა კლუბი);
- EUCYBERSPORT – ინფორმატიკის სტუდენტთა კლუბი;
- FISHING CLUB;
- კალათბურთის კლუბი;
- ფრენბურთის ბიჭების კლუბი.

დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში, სტუდენტებს შეუძლიათ მიმართონ ცენტრს **გურამიშვილის #76, ოთახი #102.**

სტუდენტური თვითმმართველობა

სტუდენტური თვითმმართველობა წარმოადგენს ევროპის უნივერსიტეტში არსებული სტუდენტურ ორგანიზაციას, რომელიც კულტურულ, სპორტულ და ინტელექტუალურ ღონისძიებებს ახორციელებს. ასევე, ასრულებს შუა რგოლის ფუნქციას სტუდენტებსა და ადმინისტრაციას შორის.

სტუდენტური თვითმმართველობა გეგმავს და ახორციელებს სპორტულ და ინტელექტუალურ თამაშებს, გასვლით ტურებსა და კინოჩვენებებს. ის ასევე იწვევს საინტერესო სპიკერებს, მართავს სხვადასხვა შინაარსის საღამოებს და აწყობს ყოველთვიურ შეხვედრებს სტუდენტებთან მათი ხედვებისა და საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით.

ევროპის უნივერსიტეტში სტუდენტური თვითმმართველობის შერჩევა ელექტრონულად, 2 წლის ვადით ხდება. სტუდენტური თვითმმართველობის კანდიდატთა შერჩევაში მონაწილეობას უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტის აქტიური სტატუსის მქონდე სტუდენტი იღებს. არჩევნების შედეგად, კანდიდატთა შორის კვოტები ყველა ფაკულტეტზე თანაბრად ნაწილდება. ყოველ ფაკულტეტზე გამოყოფილია 4 კვოტა. სტუდენტური თვითმმართველობა, ჯამში, 12 წევრისგან შედგება.

სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტს და ვიცე-პრეზიდენტს თავად თვითმმართველობის წევრები ელექტრონული არჩევნების წესით დადგენილი პროტოკოლის მიხედვით, შიდა არჩევნების გზით ირჩევენ.

ეთიკის ნორმები

უნივერსიტეტში მოქმედებს ეთიკის კოდექსი, რომელიც არეგულირებს დაწესებულების პერსონალისა და სტუდენტების საქმიანობის პრინციპებს, საზოგადოებრივ ურთიერთობათა სფეროში წარმოშობილ ეთიკურ პრობლემებს, განსაზღვრავს ქცევის წესებს და ურთიერთობის ეთიკურ სტანდარტებს, აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის პრინციპებს.

ეთიკის კოდექსის შესაბამისად სტუდენტი ვალდებულია:

- **პატივი სცეს უნივერსიტეტის პერსონალს და სხვა სტუდენტებს;**
- **უნივერსიტეტში არ შეიტანოს ალკოჰოლური, ნარკოტიკული საშუალებები, იარაღი. ასევე, აკრძალულია აზარტული თამაშები და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული არამართლზომიერი ქმედების ჩადენა;**
- **უნივერსიტეტში არ გამოცხადდეს ალკოჰოლური თუ სხვა ძლიერმოქმედი ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ. უნივერსიტეტის შენობაში ალკოჰოლური სასმელის მიღება დასაშვებია მხოლოდ ოფიციალურ ღონისძიებათა ფარგლებში;**
- **უზრუნველყოს უნივერსიტეტის ქონებისადმი სათანადო მოპყრობა და მისი გამოყენება მხოლოდ საგანმანათლებლო მიზნებისათვის;**
- **უზრუნველყოს თანამოსაუბრეებისადმი პატივისცემით მოპყრობა და საკუთარი მოსაზრებების გამოთქმისას დაიცვას ეთიკის ნორმები;**
- **არ მოწიოს თამბაქო, მათ შორის ელექტრო სიგარეტი, გარდა უნივერსიტეტის ტერიტორიაზე სპეციალურად გამოყოფილი ადგილისა;**
- **არ დაანაგვიანოს უნივერსიტეტის ტერიტორია;**
- **არ დააზიანოს ან/და არ განახორციელოს ნებისმიერი სახის უარყოფითი ზემოქმედება უნივერსიტეტის შიდა ელექტრონულ პროგრამებზე/ელექტრონულ ბაზებზე;**
- **დაიცვას ეთიკის კოდექსი, პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმები, საგამოცდო პროცესის ადმინისტრირების წესი, ასევე უნივერსიტეტში მოქმედი სხვა სამართლებრივი აქტებით დადგენილი მოთხოვნები;**
  - სტუდენტი ვალდებულია არ ჩაიდინოს აკადემიური სიყალბე, მათ შორის, პლაგიატი. სტუდენტის მხრიდან აკადემიურ სიყალბედ ჩაითვლება:
  - სხვა სტუდენტის ნამუშევრიდან გადაწერა, ან ისეთი სახის დამხმარე მასალის გამოყენება, რომელიც აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ წინასწარ არ ყოფილა ნებადართული;
  - სხვა სტუდენტის ნაცვლად გამოცდის ჩაბარება ან სხვა პირისთვის მის მაგივრად გამოცდის ჩაბარების შესახებ თხოვნა;
  - გამოცდის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვება და გავრცელება;
  - სხვა პირის ნამუშევრის, როგორც საკუთარის წარმოჩინება;
სხვა სტუდენტის ნამუშევრის მოპარვა, განადგურება ან შეცვლა;
  - აკადემიურ/მოწვეულ პერსონალზე ზეწოლა შეფასების მისაღებად;
  - შესაბამისი წყაროს მითითების გარეშე სხვისი ნაშრომის ან გამონათქვამის ციტირება.

ზემოაღნიშნული ნორმების დარღვევა იწვევს დისციპლინურ პასუხისმგებლობას, მძიმე დარღვევას შესაძლოა მოჰყვეს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.

ეთიკის კოდექსი შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: eu.edu.ge / About Us / Legal Acts / Ethics and Disciplinary Responsibilities Code of European University

პლაგიატი

პლაგიატი გულისხმობს სხვის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომის ან მისი როგორც საკუთარის წარმოდგენას და გამოყენებას, ავტორის შესაბამისი მითითებისა და საჭიროების შემთხვევაში, ნებართვის გარეშე.

უნივერსიტეტში მოქმედებს პლაგიატის შესამოწმებელი TURNITIN-ის ელექტრონული პროგრამა. პლაგიატის წინააღმდეგ ბრძოლა ემსახურება მაღალი აკადემიური სტანდარტების დანერგვას, ქცევის ნორმების რეგულირებასა და პასუხისმგებლობის ფორმების დამკვიდრებას.

ინფორმაციას პლაგიატისა და TURNITIN-ის ელექტრონული პროგრამის გამოყენების წესების შესახებ, სტუდენტებს აწვდის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის ცენტრი. პლაგიატის კუთხით, ცნობიერების ამაღლების მიზნით, ტარდება შეხვედრები სტუდენტებთან რომლის ფარგლებშიც ისინი იღებენ ინფორმაციას სხვისი ინტელექტუალური საკუთრების გაფრთხილების მიმართულებით.

ცენტრი პერიოდულად აცხადებს კონკურსებს თემაზე "პლაგიატის პრევენცია“. კონკურსში მონაწილეობა შეუძლია "ევროპის უნივერსიტეტის“ ნებისმიერი კურსის და მიმართულების სტუდენტს. კონკურსის მიზანია სტუდენტებში პლაგიატის შესახებ ცნობიერების ამაღლება და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების გაცნობა.

დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში, სტუდენტებს შეუძლიათ მიმართონ ცენტრს **გურამიშვილის #76, ოთახი #306.**

პლაგიატის აღმოჩენის, მისი თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმების დოკუმენტი შეგიძლიათ იხილოთ ლინკზე: https://shorturl.at/iQR25

ბიბლიოთეკა

ევროპის უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, რომლის ფონდი დაკომპლექტებულია როგორც, ბეჭდური, ასევე ციფრული მასალით. ბიბლიოთეკა მუშაობს ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით, 10:00 საათიდან 23:00 საათამდე.
ბიბლიოთეკით სარგებლობისთვის აუცილებელია გაწევრიანება, რისთვისაც სტუდენტმა უნდა მიაკითხოს ბიბლიოთეკას.
ბიბლიოთეკის დარბაზში დაუშვებელია: მოწევა, ხმაური, საუბარი, მობილური ტელეფონის გამოყენება. ასევე, დარბაზში განთავსებული კომპიუტერების გამოყენება გასართობი საიტებისთვის, ფილმების ყურება, აზარტული თამაშების თამაში, კომპიუტერების კონფიგურაციის შეცვლა. დარღვევის შემთხვევაში, ბიბლიოთეკის თანამშრომელს უფლება აქვს, შენიშვნა მისცეს მკითხველს, რომელიც ვალდებულია, დაემორჩილოს მას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბიბლიოთეკის თანამშრომელს შეუძლია, მკითხველისგან მოითხოვოს ბიბლიოთეკის დატოვება.
ბიბლიოთეკის წიგნების ფონდი შედგება, როგორც სასწავლო ლიტერატურისაგან, ასევე ზოგადი ხასიათის გამოცემებისაგან, სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურისაგან, პერიოდული გამოცემებისაგან, ციფრული ლიტერატურისაგან და სხვ.
ევროპის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მკითხველს შეუძლია გამოიყენოს „ელექტრონული ინფორმაცია ბიბლითეკებისათვის - eIFL”-ის ელექტრონული რესურსები, რომელშიც თავმოყრილია მსოფლიოში ცნობილი და პოპულარული პერიოდული გამოცემები. ბაზებზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ უნივერისტეტის შენობებიდან.
ბიბლიოთეკის ფონდის კატალოგი ასახულია ელექტრონულ საბიბლიოთეკო პროგრამაში https://shorturl.at/gNRSW , რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია სასურველი ლიტერატურის მოძიება.

ელექტრონულ ბაზებზე წვდომისათვის მიჰყევით შესაბამის ბმულს:

EBSCO https://shorturl.at/intNV

Royal Society Journals Collection https://shorturl.at/cklzA

Cambridge Journals Online https://shorturl.at/iqBDY

e-Duke Journals Scholarly Collection https://shorturl.at/hmCFK

IMechE Journals https://shorturl.at/fikwF

SAGE Journals https://shorturl.at/cdlzX

Openedition Journals https://shorturl.at/bxPW7

Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books https://shorturl.at/csvI1

The Company of Biologists' Journals https://shorturl.at/foyU0

European Respiratory Journal https://shorturl.at/kzDP1

Mathematical Sciences Publishers Journals https://shorturl.at/imsJN

ACM Digital Library https://shorturl.at/kryzE

გაცვლითი პროგრამები

ინტერნაციონალიზაცია ევროპის უნივერსიტეტის ერთ-ერთი ძლიერი მხარეა. უნივერსიტეტს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებული აქვს, როგორც ევროპის, ასევე აზიის, ა.შ.შ.-ის და კანადის ათეულობით უნივერსიტეტთან. მემორანდუმების რიცხვი ყოველწლიურად მზარდია. ევროპის უნივერსიტეტი ჩართულია ერაზმუს+-ის მიერ დაფინანსებულ გაცვლით პროგრამებში, რაც სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას ევროკავშირის მიერ სრულად დაფინანსებული სტიპენდიით, მგზავრობის და ცხოვრების ხარჯებით ერთი სემესტრის მანძილზე გაემგზავრნონ ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში.

გაცვლით პროგრამებში სტუდენტთა შერჩევა ხდება კონკურსის გზით, რომელიც ცხადდება წელიწადში ორჯერ: შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრებში.შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ბაკალავრიატის (II - VII სემესტრის), მაგისტრატურის (II, III სემესტრის), ასევე ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის (II-X სემესტრის) აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებს, რომელთა აკადემიური მოსწრების საშუალო შეწონილი ქულა არის მინიმუმ 2.5.

საერთაშორისო აკადემიური მობილობით დაინტერესებული სტუდენტები რეგისტრაციისთვის ავსებენ საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მიერ შედგენილ ელექტრონულ სარეგისტრაციო ფორმას.

რეგისტრირებულ სტუდენტებს, რომლებიც სრულად აკმაყოფილებენ კონკურსში მონაწილეობის პირობებს, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური იწვევს პირველ შესარჩევ ეტაპზე, რაც გულისხმობს ინგლისური ენის გამოცდას პირისპირ ან დისტანციური პლატფორმების გამოყენებით.

სტუდენტს მოეთხოვება ინგლისურ ენაში B2 დონის ცოდნის დადასტურება, ენების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩო დოკუმენტის (CEFR) შესაბამისად, ოთხ ენობრივ კომპეტენციაში: მოსმენა, წერა, კითხვა, ლაპარაკი. კონკურსის მომდევნო ეტაპზე გადასვლის წინაპირობაა გამოცდით განსაზღვრული მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 60-ის დაგროვება.

საერთაშორისო სტუდენტური მობილობისთვის შესარჩევი კონკურსის მეორე და საბოლოო ეტაპი გულისხმობს ინგლისურენოვან გასაუბრებას, რომელიც წარიმართება პირისპირ ან დისტანციური პლატფორმის გამოყენებით. გასაუბრებაზე ფასდება კონკურსანტთა მოტივაცია აკადემიური, პროფესიული და პიროვნული განვითარების კუთხით.

გამარჯვებულ სტუდენტთან ფორმდება სასწავლო ხელშეკრულების დოკუმენტი, რომელშიც ჩამოთვლილია როგორც პარტნიორ უნივერსიტეტში გასავლელი სასწავლო კურსები, ისე ადგილობრივად მათი შესატყვისები, შესაბამისი კრედიტების მითითებით. აღნიშული დოკუმენტების ხელმოწერით, ევროპის უნივერსიტეტი პასუხისმგებლობას იღებს სტუდენტის დაბრუნების შემდგომ მის მიერ პარტნიორ უნივერსიტეტში დაგროვილი კრედიტების აღიარებაზე, დოკუმენტში გაწერილი სქემის შესაბამისად.

საკონტაქტო ინფორმაციის ფურცელი:

საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური

Mail: international@eu.edu.ge
Tel: 032 2 000 171 (123)
Room: Guramishvili #76, #315,#317

ფინანსური სამსახური:

Mail: financial.manager@esu.edu.ge
Tel: 032 2 000 171 (112;113)
Room: Guramishvili #76, #308

იურიდიული სამსახური

Mail: legaldepartament@eu.edu.ge
Tel: 03 2 2 000 171 (114, 180)
Room: Guramishvili #76, #307

სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრი

Mail: servicecenter@eu.edu.ge
Tel: 032 2 000 171 (134)
Room: Guramishvili #76, #102

სამედიცინო მომსახურების სამსახური

Mail: medicalservice@eu.edu.ge
Tel: 032 2 000 171 (130;210)
Room: Guramishvili #76, #209; Sarajishvili#17, #104

საქმისწარმოების სამსახური

Mail: casemanagement@eu.edu.ge
Tel: 032 2 000 171 (115, 119)
Room: Guramishvili #76, #103

ბიბლიოთეკა

Mail: libraryservice@eu.edu.ge
Tel: 032 2 000 171 (133; 212)
Room: Guramishvili #76, #106; Sarajishvili#17, Library

სამართლებრივი დახმარების ცენტრი

Mail: legalaidcenter@eu.edu.ge
Tel: 032 2 000 171
Room: Guramishvili #76, #105;

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრი

Mail: science.center@eu.edu.ge
Tel: 032 2 000 171 (125)
Room: Guramishvili #76, #306

საგამოცდო ცენტრი

Mail: examcenter@eu.edu.ge
Tel: 032 2 000 171 (219;220;127)
Room: Guramishvili #76, #409

სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახური

Mail: learningprocess@eu.edu.ge
Tel: 2 000 171 (108)
Room: Guramishvili #76, #101

ადმინისტრაციული შენობა:
თბილისი, 0141, გურამიშვილის გამზ.76

მედიცინის ფაკულტეტის კორპუსი:
თბილისი, 0189, სარაჯიშვილის ქ.17

სამუშაო საათები:
ორშაბათი-შაბათი: 10:00-19:00

ტელეფონი:
(+995 32) 2 000 171

ელ. ფოსტა:
info@eu.edu.ge